

მისოს საკრედიტო პორტფელის დაზღვევის პირობები
(კლიენტ(ებ)ის გარდაცვალების რისკზე)
(შემდგომში - დაზღვევის პირობები)

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელში“ (ს/ნ 204919008) დაზღვევის ობიექტს, დაზღვევის ობიექტის დაზღვევისა და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების პირობებს, რომელიც მოქმედებს 2024 წლის 30 დეკემბრის შემდგომ დაწყებულ დაზღვევაზე.

დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს მისოს საკრედიტო პორტფელი, რომელიც მოიცავს იმ კრედიტების დავალიანებებს, რომლის თაობაზე გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტი იხდის სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს.

წინამდებარე დაზღვევის პირობები ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომლებმაც საკრედიტო ხელშეკრულების დადების დროს აირჩიეს, რომ მათი კრედიტი შესულიყო მისოს საკრედიტო პორტფელის იმ ნაწილში, რომელიც მისოს დაზღვეული აქვს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელში“ (ს/ნ 204919008).

კლიენტის მიერ სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო გადაიხდება, მისოს მიერ კლიენტის გარდაცვალების რისკზე დავალიანების დაზღვევის უზრუნველსაყოფად (შემდგომში - დაზღვევა).

1. **ტერმინთა განმარტება**
- 1.1. **არაუზრუნველყოფილი კრედიტი - კრედიტი**, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი უზრუნველყოფის რომელიმე საშუალებით და **დამზღვევთან** არსებული რეგულაციებით მიიჩნევა **არაუზრუნველყოფილ კრედიტად**;
- 1.2. **მისო -**, ქართული კრედიტი“
- 1.3. **დავალიანება - კრედიტის** გადაუხდელი ვადამოსული/ვადამოუსვლეელი ძირითადი თანხა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული არ მოიცავს დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, საკომისიოს, ჯარიმას/პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელს;
- 1.4. **კლიენტი -** მოვალე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს (მიუხედავად იმისა, როდის გახდა აღნიშნული პირი საკრედიტო ხელშეკრულების მხარე) და რომელმაც კრედიტის დაუფარავი ძირითადი თანხის დაზღვევა კლიენტის გარდაცვალების რისკისგან აირჩია **მზღვეველთან**, გარდა მოვალე ფიზიკური პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მემკვიდრისა, რომელმაც მოვალის გარდაცვალების შედეგად გადაიკისრა ვალდებულება.
- 1.5. **კრედიტი -** ნებისმიერი ტიპის კრედიტი, რომელსაც მისო გასცემს კლიენტზე;
- 1.6. **კრედიტის კატეგორია - უზრუნველყოფილი კრედიტი ან არაუზრუნველყოფილი კრედიტი**;
- 1.7. **მზღვეველი -** სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელში“ (ს/ნ 204919008) ;
- 1.8. **მოცდის პერიოდი -** პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მძიმე დაავადებ(ებ)ით გამოწვეული კლიენტის გარდაცვალება არ ექვემდებარება ანაზღაურებას;
- 1.9. **მძიმე დაავადება -** ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფიბროზი ან ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატიტი C, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა, გულის თანდაყოლილი ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი ან მისი გართულება, უშაქრო დიაბეტი ან მისი გართულება, ცერებროვასკულარული დაავადებები (გარდა ინსულტის პირველადი შემთხვევისა). აღნიშნულ დაავადებათა ჯგუფში შემავალი დაავადებები განისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მეათე გადახედვის მიხედვით;
- 1.10. **სადაზღვევო ანაზღაურება -** სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად მზღვეველის მიერ მისოსთვის ჩარიცხული/ჩასარიცხი თანხა;
- 1.11. **სადაზღვევო შემთხვევა -** ნებისმიერი მიზეზით კლიენტის გარდაცვალება, გარდა წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;
- 1.12. **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო -** საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის მიერ გადახდილი/გადასახდელი სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო;
- 1.13. **საკრედიტო დავალიანება -** კონკრეტული კლიენტის კრედიტ(ებ)ის დაუფარავი, ვადამოსული/ვადამოუსვლეელი ძირითადი თანხ(ებ)ის ჯამი, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ნაწილს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული არ მოიცავს დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, საკომისიოს, ჯარიმას/პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელს;

- 1.14. **საკრედიტო პორტფელი - დაზღვევის პირობების მოქმედების პერიოდში მისოს მიერ გაცემული, დაზღვევის პირობებით** გათვალისწინებული **კრედიტების დაუფარავი, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებების** ჯამი, რომელთა **მსესხებელმაც/მსესხებლებმაც მსესხებლის** გარდაცვალების რისკზე **სესხის დაუფარავი ძირითადი დავალიანების დაზღვევა** არჩიეს/გადაწყვიტეს **მზღვეველთან**. ასევე **დაზღვევის პირობების** ძალაში შესვლამდე გაცემული იმ **კრედიტების დაუფარავი, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებების** ჯამი, რომლებიც არ იყო **დაზღვეული** და რომელთა **კლიენტებმაც დაზღვევის პირობების** ძალაში ყოფნის პერიოდში **მისოსთან** დადეს გარიგება მათზე გაცემული **კრედიტების დაუფარავი, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებების მზღვეველთან დაზღვევის** შესახებ შესაბამისი **კლიენტების** გარდაცვალების რისკზე (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად აღნიშნული თანხები არ მოიცავს დარიცხულ სარგებელსა და ჯარიმას/პირგასამტეხლოს);
 - 1.15. **საკრედიტო ხელშეკრულება - მისოსა და კლიენტს შორის** გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება **კრედიტით სარგებლობის პირობები**;
 - 1.16. **უზრუნველყოფილი კრედიტი - კრედიტი**, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ანაზღაურებით/სადეპოზიტო სერტიფიკატით და **მისოში** არსებული რეგულაციებით მიიჩნევა **უზრუნველყოფილ კრედიტად**;
 - 1.17. **უფლებამოსილი პირი - გარდაცვლილი კლიენტის** მემკვიდრე ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირი.
2. **დაზღვევის დაწყებისა და დასრულების დრო**
 - 2.1. **დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა იწყება:**
 - 2.1.1. შესაბამისი **კრედიტის** გაცემის მომენტიდან - **საკრედიტო პორტფელის** იმ ნაწილისთვის, რომელიც მოიცავს **დაზღვევის პირობების** მოქმედების პერიოდში გაცემული **კრედიტების დაუფარავი, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებებს**;
 - 2.1.2. **დაზღვევის შესახებ კლიენტსა და მისოს შორის** შესაბამისი გარიგების დადების მომენტიდან - **საკრედიტო პორტფელის** იმ ნაწილისთვის, რომელიც მოიცავს **დაზღვევის პირობების** ძალაში შესვლამდე გაცემული იმ **კრედიტების დაუფარავ, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებებს**, რომლებიც არ იყო **დაზღვეული** და რომელთა **კლიენტებმაც დაზღვევის პირობების** მოქმედების პერიოდში **მისოსთან** დადეს გარიგება მათზე გაცემული **კრედიტების დაუფარავი, ძირითადი თანხ(ებ)ის დავალიანებების მზღვეველთან დაზღვევის** შესახებ შესაბამისი **კლიენტების** გარდაცვალების რისკზე.
 - 2.2. თუ **დაზღვევის პირობების** ძალაში შესვლის შემდგომ კონკრეტული **კრედიტი** გაცემულია ერთზე მეტ **კლიენტზე**, აღნიშნული **კლიენტებიდან** წინამდებარე **დაზღვევის პირობები** ვრცელდება ყველა **კლიენტზე**, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც: ა) შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით კლიენტ(ებ)ი** და **მისო** შეთანხმდებიან აღნიშნული **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **დავალიანების დაზღვევაზე** არა ყველა, არამედ მხოლოდ კონკრეტული **კლიენტ(ებ)ის** გარდაცვალების რისკზე; ან ბ) **მისო** საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს კონკრეტული **დავალიანების დაზღვევას** არა ყველა, არამედ მხოლოდ კონკრეტული **კლიენტ(ებ)ის** გარდაცვალების რისკზე. ამასთან, თუ **დაზღვევის პირობების** მოქმედების პერიოდში **მისოსა და კლიენტ(ებ)ს** შორის დაიდება გარიგება (შემდგომში - **დაზღვევის შესახებ დამატებითი შეთანხმება**) **დაზღვევის პირობების** ძალაში შესვლამდე გაცემული **კრედიტების** (რომელთა **საკრედიტო ხელშეკრულებაც** არ ითვალისწინებს **დაზღვევას**) შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **დავალიანების მზღვეველთან დაზღვევის** შესახებ კონკრეტული **კლიენტ(ებ)ის** გარდაცვალების რისკზე ან **დაზღვევის პირობების** მოქმედების პერიოდში გაცემული **კრედიტ(ებ)ის** იმ **კლიენტთა** რაოდენობის გაზრდის შესახებ, რომელთა გარდაცვალების რისკზეც ხდება აღნიშნული **კრედიტ(ებ)ის** შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **დავალიანების დაზღვევა**, კონკრეტული **დავალიანებისთვის**, იმ **კლიენტ(ებ)ის** გარდაცვალების რისკზე, რომლებზეც **დაზღვევა** გავრცელდა **დაზღვევის შესახებ დამატებითი შეთანხმების** საფუძველზე, **დაზღვევა**:
 - 2.2.1. დაიწყება და შესაბამისად, **მოცდის პერიოდი** აითვლება აღნიშნული **დაზღვევის პირობების შესახებ დამატებითი შეთანხმების** გაფორმების მომენტიდან;
 - 2.2.2. გავრცელდება აღნიშნული **დავალიანებისთვის/კრედიტისთვის/კრედიტის კატეგორიისთვის დაზღვევის პირობებით** გათვალისწინებული სპეციფიკური პირობების შესაბამისად, **დაზღვევის შესახებ დამატებითი შეთანხმებით დაზღვევას** დამატებული **კლიენტის** ასაკის გათვალისწინებით.
 - 2.3. **დაზღვევა წყდება:**
 - 2.3.1. **კლიენტის** გარდაცვალებითა და **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემით ან შესაბამისი საფუძველების არსებობისა, **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე უარის თქმით;
 - 2.3.2. **კლიენტის** მიერ 70 (სამოცდაათი) წლის ასაკის მიღწევისთანავე;
 - 2.3.3. **კლიენტის** გარდაცვალებამდე **კლიენტის** მიერ **მისოს** წინაშე არსებული **საკრედიტო დავალიანების** დაფარვით;
 - 2.3.4. კონკრეტული **კლიენტის** ნაწილში **მისოსა და მზღვეველს** შორის **დაზღვევის ურთიერთობის** შეწყვეტით;
 - 2.3.5. **მისოსა და მზღვეველს** შორის **საკრედიტო პორტფელის დაზღვევის ურთიერთობის** შეწყვეტით.

3. **სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს დარიცხვის პრინციპი**
- 3.1. **უზრუნველყოფილი კრედიტების შემთხვევაში**, შესაბამის საკრედიტო ხელშეკრულებაში სიცოცხლის დაზღვევის საკომისიო განსაზღვრულია პროცენტული ოდენობის სახით, რომელიც დაერიცხება **უზრუნველყოფილი კრედიტის** ძირითად თანხას, მაგრამ არაუმეტეს - 100 000 (ასი ათასი) ლარის (100 000-ანი ლიმიტი).
- 3.2. **კრედიტის** თანხის ვალუტაში შესაბამისი ლიმიტის ოდენობა არის ცვალებადი და ყოველ ჯერზე შეადგენს კონკრეტული **კრედიტის** გადახდის პირობის/გრაფიკის ფორმირების/ცვლილების მომენტისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამის თანხას.

4. **სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა/მაქსიმალური ოდენობა**
- 4.1. **სადაზღვევო შემთხვევისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა/მაქსიმალური ოდენობა** განისაზღვრება შემდეგნაირად:
- 4.1.1. **კლიენტის საკრედიტო დავალიანების** დასაფარად სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა **კლიენტის** ასაკისა და **კრედიტის კატეგორიის** შესაბამისად განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში თითოეული **კლიენტისათვის** (და არა **კრედიტისთვის**). სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა ტოლია კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში გარდაცვლილი **კლიენტის** მიმდინარე საკრედიტო დავალიანების ოდენობისა, მაგრამ არაუმეტეს **დაზღვევის პირობების 4.1.3. და 4.1.4. ქვეპუნქტებით** განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობისა;
- 4.1.2. თუ გარდაცვლილი **კლიენტის საკრედიტო დავალიანება** მისოს მიმართ გამომდინარეობს როგორც **უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)იდან**, ასევე, **არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)იდან**, სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება თითოეული **კრედიტის კატეგორიისთვის** დამოუკიდებლად **დაზღვევის პირობების 4.1.3. და 4.1.4. ქვეპუნქტების** შესაბამისად, თითოეული **კლიენტისათვის** (და არა **კრედიტისთვის**);
- 4.1.3. **უზრუნველყოფილ კრედიტ(ებ)თან** მიმართებით სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი **კლიენტის** ასაკის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად თითოეული **კლიენტისათვის** (და არა **კრედიტისთვის**):

N	მსესხებლის ასაკი	სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (ლარში)
1	ტოლია ან ნაკლებია 70-ზე	100,000 (ასი ათასი)

- 4.1.4. **არაუზრუნველყოფილ კრედიტ(ებ)თან** მიმართებით, სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი **კლიენტის** ასაკის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად თითოეული **კლიენტისათვის** (და არა **კრედიტისთვის**):

N	მსესხებლის ასაკი	სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (ლარში)
1	ტოლია ან ნაკლებია 70-ზე	25,000 (ოცდახუთი ათასი)

- 4.1.5. თუ ერთი **კრედიტი** გაცემულია რამდენიმე **კლიენტზე**, აღნიშნული **კლიენტებიდან**, რომლებზეც ვრცელდება **დაზღვევის პირობები**, რამდენიმეს გარდაცვალების შემთხვევაში, მიუხედავად გარდაცვლილი **კლიენტების** რაოდენობისა, **მზღვეველის** მიერ მისოსთვის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება აღნიშნული **კრედიტის** ძირითად თანხას.
- 4.2. სადაზღვევო ანაზღაურებიდან **კლიენტის** სხვადასხვა დავალიანებების დაფარვის რიგითობას განსაზღვრავს მისო საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 4.3. ერთ **კრედიტზე** გარდაცვლილი **კლიენტების** რაოდენობის მიუხედავად, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არ აღემატება აღნიშნული **კრედიტის** ძირითად თანხას.
- 4.4. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, დავალიანების ვალუტაში, დაანგარიშდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

5. **სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია**
- 5.1. **უფლებამოსილი პირი** ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მისოს აღნიშნულის თაობაზე, გონივრულ ვადაში მოიპოვოს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოპოვებისთანავე, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მისოს აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ დოკუმენტაციას წარუდგენს **მზღვეველს**.
- 5.2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე **მზღვეველის** მიერ გადაწყვეტილების მისაღებად, **უფლებამოსილი პირის** მიერ მისოსთვის წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
- 5.2.1. **კლიენტის** გარდაცვალების მოწმობა;

- 5.2.2. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი, ცნობა **კლიენტის** გარდაცვალების შესახებ - ფორმა N106ს-4, რომელშიც მითითებული უნდა იყოს **კლიენტის** გარდაცვალების/სიკვდილის კონკრეტული დადგენილი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და **კლიენტის** ასაკი;
- 5.2.3. თუ **დაზღვევის პირობების 5.2.2. ქვეპუნქტით** განსაზღვრული ცნობა არ შეიცავს ამავე **ქვეპუნქტში** მითითებულ ინფორმაციას, დამატებით, წარმოდგენილ უნდა იქნეს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება აღნიშნული ინფორმაცია;
- 5.2.4. უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, დამატებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- 5.2.5. თუ **კლიენტის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დამატებით ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ და **კლიენტის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
- 5.2.6. კონკრეტული **სადაზღვევო შემთხვევის** სპეციფიკიდან გამომდინარე **მისოსთვის მზღვეველის** მიერ მოთხოვნილი, **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.
- 5.3. იმ შემთხვევაში, თუ **უფლებამოსილი პირის** მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი ან/და ხარვეზიანია, **მისო უფლებამოსილ პირს** განუსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 20 (ოცი) კალენდარული დღისა და არაუმეტეს 5 (ხუთი) თვისა (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და **მისოს** მიერ დაწესებული ვადის განმავლობაში არ შეწყვეტილა გამოძიება ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება), ხარვეზის გამოსასწორებლად და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარსადგენად.
- 5.4. თუ **სადაზღვევო შემთხვევა**, რომლის ასანაზღაურებლად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურება** არ აღემატება 2000 (ორი ათასი) ლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში), **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა მხოლოდ **კლიენტის** გარდაცვალების მოწმობის წარდგენის საფუძველზე.
- 5.5. **სადაზღვევო შემთხვევა** არ ექვემდებარება ანაზღაურებას:
- 5.5.1. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** დამადასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტი არ არის წარდგენილი წინამდებარე **დაზღვევის პირობების 5.1.-5.3. ქვეპუნქტებით** დადგენილი წესითა და ვადაში;
- 5.5.2. თუ **კლიენტის** გარდაცვალებიდან, აღნიშნულის თაობაზე **მისოს** ინფორმირებამდე გასულია 1 (ერი) წელზე მეტი ვადა.
- 5.6. **სადაზღვევო შემთხვევის** დამადასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტის **უფლებამოსილი პირის** მიერ **მისოსთვის** წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, **მზღვეველი** შესაბამისი პროცედურების დაცვით განიხილავს კონკრეტულ **სადაზღვევო შემთხვევას** და იღებს გადაწყვეტილებას (დადებითი ან უარყოფითი) **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემასთან დაკავშირებით (დადებითი ან უარყოფითი), ხოლო დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში გასცემს **მისოზე** შესაბამის **სადაზღვევო ანაზღაურებას**.
- 5.7. **მისო** უზრუნველყოფს **უფლებამოსილი პირის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებას **მზღვეველისათვის** და არ აგებს პასუხს **მზღვეველის** მიერ კონკრეტულ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
6. **სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამონაკლისები**
- 6.1. **სადაზღვევო შემთხვევა** ექვემდებარება ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **კლიენტის** გარდაცვალება პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:
- 6.1.1. ომით, დაპყრობით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, გაფიცვით, ნებისმიერი პირის ქმედებით, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
- 6.1.2. მაიონიზირებელი გამოსხივებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებით, ბირთვული საწვავის აალებით;
- 6.1.3. **კლიენტის** ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით;
- 6.1.4. თუ **კლიენტი** ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას ან თუ **კლიენტის** მიერ მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებამ გამოიწვია არსებული დაავადების გამწვავება, რაც გახდა **კლიენტის** გარდაცვალების მიზეზი;
- 6.1.5. **კლიენტის** მიერ ჩადენილი თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ თვითდაზიანებით;
- 6.1.6. **კლიენტის** მკვლელობით, მკვლელობის მცდელობით ან სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება სხვა **კლიენტები**, რომლებზეც გაცემულია კონკრეტული **კრედიტი** ან/და გარდაცვლილი **კლიენტის** მემკვიდრეები;

- 6.1.7. კლიენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი ჩადენის მცდელობით ან დანაშაულის ჩადენისას/მცდელობისას;
- 6.1.8. კლიენტის შიდსით ან HIV-ით ინფიცირებით;
- 6.1.9. კლიენტის ფსიქიკური ავადმყოფობით ან გონების დაზინდვით;
- 6.1.10. კლიენტის მონაწილეობით ან/და მის მიმართ სამხედრო, საპოლიციო ან ოპერატიულ სამმებრო ოპერაციის ჩატარებაში;
- 6.1.11. კლიენტის მონაწილეობით სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით;
- 6.1.12. კლიენტის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩადებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- 6.1.13. კლიენტის მიერ სანადგოვო პირობების შესრულებით, აკრობატული ილეთების შესრულებით, რეკორდის დამყარებით ან ამის მცდელობით;
- 6.1.14. კლიენტის მონაწილეობით პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);
- 6.1.15. კლიენტის მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;
- 6.1.16. მოცდის პერიოდში კლიენტის მიმე დაავადებ(ებ)ით გარდაცვალებით. ამასთან, თუ კლიენტი ახალი კრედიტით გადაფარავს ძველი კრედიტ(ებ)იდან გამომდინარე დავალიანებას ან გაზრდის მიმდინარე კრედიტ(ებ)ს, მაშინ განახლებული მოცდის პერიოდი აითვლება კრედიტ(ებ)ის მხოლოდ გაზრდილ მოცულობაზე. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, ახალი კრედიტ(ებ)ით გადაფარულ კრედიტ(ებ)ზე/მათ გაზრდამდე არსებულ მოცულობაზე კვლავ იმოქმედებს აღნიშნული კრედიტ(ებ)ის გადაფარვამდე/მათ გაზრდამდე მათ მიმართ მოქმედი მოცდის პერიოდი. მოცდის პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

სესხის ტიპი/კატეგორია	მოცდის პერიოდი (დანართის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული განსაზღვრული მომენტიდან)		
უზრუნველყოფილი კრედიტი	კრედიტის საწყისი ოდენობა ტოლია ან ნაკლებია 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან მისი ექვივალენტისა კრედიტის ვალუტაში კრედიტის გაცემის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.	12 (თორმეტი) თვე	
არაუზრუნველყოფილი კრედიტი	კრედიტის საწყისი ოდენობა ტოლია ან ნაკლებია 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა ან მისი ექვივალენტისა კრედიტის ვალუტაში კრედიტის გაცემის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.	<=5000	6 თვე
		>5000	12 თვე

წინამდებარე დაზღვევის პირობები ძალაშია 2024 წლის 30 დეკემბრიდან.

შენიშვნა: თუ გაინტერესებთ რა კატეგორიის კრედიტით სარგებლობთ დაზღვევის მიზნებისთვის, ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ მისოს ცხელ ხაზს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 0322 500 100.

წინამდებარე დოკუმენტსა და პორტფელური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულების პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პორტფელური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულებას.

